

კრებულში დაბეჭდილი ფოლკლორული მასალა მკაფიოდ გამოხატავს ქართველი ხალხის რელიგიურ გრძნობებს, მაღალ ზნეობასა და სულიერ სიმტკიცეს. ვფიქრობ, გიგი ხორნაულის „მზიანი რწმენის საუფლო“ ქართული ფოლკლორული შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო გამოცემას წარმოადგენს. კრებულში შემდგენლებმა საპატიო ადგილი მიუჩინეს იმ ტექსტებს, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შესარულეს ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც დარგის სპეციალისტებს, ისე სტუდენტ ახალგაზრდობასა და ფართო მკითხველ საზოგადოებას ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შესწავლა-გაცნობაში.

ცალკეული შენიშვნების მიუხედავად, რომელიც, შეიძლება, ასეთი კრებულების გამოცემის დროს გამიჩნდეს, მინდა გამოვხატო პატივისცემა წიგნის შემდგენლების მიმართ. ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, ნამდვილად, ეროვნული საქმეა და მათი შრომაც დაფასებას იმსახურებს.

ხვთისო მამისიმედიშვილი

**ირინე ასათიანი. ლაზური ლექსიკონი, გამბა „არტანუჯი“, თბილისი, 2012, 402 გვ.**

„არტანუჯმა“ გამოსცა „კოლხური სერიის“ მე-8 წიგნი – ირინე ასათიანის „ლაზური ლექსიკონი“, რომელიც ზმნურ ძირ-ფუძეებს შეიცავს. როგორც წინასიტყვაობიდან ირკვევა, ანბანის რიგზე გაწყობილი 860 ზმნური ძირისაგან 6000 ზმნური ფუძეა წარმოდგენილი გარკვეული სქემის მიხედვით. ეს სქემა აერთიანებს მოქმედებითი გვარის ზმნებს სამივე ქცევის მიხედვით, ვნებითი გვარის ზმნებს აგებულებისა და პირიანობის მიხედვით, უგვარო ზმნებს. წარმოდგენილია ასევე მასდარი და მიმღეობა. თითოეული ფორმა დოკუმენტურადაა დადასტურებული. აქედან ცხადი ხდება, რამდენად მნიშვნელოვანი ლინგვისტური ინფორმაციაა მოცემული ლექსიკონში. საილუსტრაციო მაგალითებისთვის გამოყენებული წყაროების ჩამონათვალსაც თუ გავითვალისწინებთ (იხ. დამოწმებული წყაროების სია, გვ. 9-10), გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ავტორს დიდძალი შრომა გაუწევია, ერთი მეცნიერისთვის თითქმის შეუძლებელი და დაუჯერებელი, რადგან დღემდე ამგვარ საქმეს მკვლევართა ჯგუფები და კვლევითი ინსტიტუტები ეჭიდებიან.

წინამდებარე ლექსიკონის შექმნას დიდი ხნის (ნახევარ საუკუნეზე მეტი) ისტორია აქვს და, როგორც თავად ქ-ნი ირინე იხსენებს,

აკად. არნოლდ ჩიქობავას წინადადებით, რჩევით დაწყებული (1953 წლიდან) და დასრულებულია 120-უჯრიანი ბარათებით სავსე კარადით. ბარათებზე ა-ჰ-მდე მოცემული იყო ზმნური ფუძეების პირველადი განმარტებანი, რასაც ავტორი „შავ სამუშაოს“ უწოდებს.

მეცნიერებაში მომუშავე ადამიანს ყოველთვის უჭირს სამუშაოს დამთავრებულად მიჩნევა და, როგორც წესი, საბოლოო ვარიანტამდე, სანამ საჯაროდ გამოიტანს, ბევრს მუშაობს, ბევრჯერ აწონ-დაწონის. ამგვარი თვისება უთუოდ მეცნიერის შინაგან კულტურასა და დიდ პასუხისმგებლობაზე მიანიშნებს. ქ-ნი ირინეც ასეთ მეცნიერთა შორის მოიაზრება. ის მთელი ამ ხნის განმავლობაში ამუშავებდა, ამოწმებდა თითოეულ ფორმას და მისი „ძირითადი სამუშაო“, როგორც თავად უწოდებს, დასრულებული მიიღო დღეს ლინგვისტთა საზოგადოებამ.

ქართველოლოგები, ჩვენში თუ უცხოეთში, არ არიან განებივრებული ამ ტიპის ლექსიკონებით. განსაკუთრებით ითქმის ეს ლაზურზე. ირინე ასათიანის „ლაზურმა ლექსიკონმა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. განუზომლად დიდია აღნიშნული ლექსიკონის მნიშვნელობა, რადგან აქ არის უაღრესად სანდო მასალა ლაზურის ყველა კილოს მიხედვით (ხოფური, ათინური, ვიწურ-არქაბული) და განმარტებულია სიტყვა-ფორმის კონტექსტუალური სემანტიკის შეგრძნებითა და გათვალისწინებით.

წიგნში მოცემული წინასიტყვაობიდან ჩანს ქ-ნი ირინეს საოცარი მაღლიერება და მოწიწება მასწავლებლის, დამრიგებლისა და გზის გამკვალავის – არნ. ჩიქობავას მიმართ: „მაღლიერების გრძნობით ვერ შემოიფარგლება ის, რასაც ბ-ნი არნოლდი იმსახურებდა, ისევე როგორც არ შემოიფარგლება მაღლიერებით დედ-მამის მიმართ გრძნობა. ბ-ნი არნოლდი განსაზღვრავდა იმ გარემოს, სადაც კი არ ვმსახურობდით, არამედ ვსულდგმულობდით“ (გვ. 8). ასევე მაღლიერების სიტყვებს არ იშურებს იმ ახალგაზრდა კოლეგების მიმართ, რომლებმაც ადრე (მაშინ დამწყები მეცნიერ-მუშაკი ვაჟა შენგელია) და ახლა (ეთერ შენგელია, რუსუდან გრიგოლია, რედაქტორები – მერაბ ჩუხუა, ლალი ეზუგბაია) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ საშვილიშვილო საქმის დასრულებაში.

ირინე ასათიანის „ლაზური ლექსიკონი“ მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ყველა ამ საკითხით დაინტერესებულ პირს; ასევე, ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორი შრომისმოყვარეობით, რუდუნებითა და საქმის ცოდნით უნდა იქმნებოდეს საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომი.

მაია ლომია